საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დარგთაშორისი ბალანსი

დარგთაშორისი ბალანსი, ეკონომიკური მაჩვენებლებისა და მათემატიკური მოდელების სისტემა, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ ანალიზსა და პროგნოზირებაში.

დარგთაშორისი კავშირების საბალანსო ცხრილები პირველად შეიმუშავა ამერ. ეკონომისტმა ვ. ლეონტიევმა, რ-მაც მიიღო სახელწოდება „დანახარჯი-გამოშვება" (Input-Output). ამასთან ერთად, ვ. ლეონტიევმა დარგთაშორისი კავშირების ანალიზისას შემოგვთავაზა გამოკვლევის მათ. მეთოდების (წრფივი ალგებრის) ფართოდ გამოყენება. მის მიერ შემუშავებული ცხრილების მეთოდოლ. პრინციპები დაფუძნებულია წონასწორობის თეორიაზე, რ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ცნობილი შვეიცარიელი ეკონომისტი ლ. ვალრასი (1834–1910). დ. ბ-ების შემუშავებაში, მათი ეკონ. ანალიზისა და პროგნოზირების საკითხების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭ. კავშირის გამოჩენილმა მეცნიერებმა: ვ. ნემჩინოვმა, მ. ეიდელმანმა, ა. აგანბეგიანმა, ა. გრანბერგმა, ვ. კოსოვმა, ე. ბარანოვმა, ფ. კლოცვოგმა და სხვ.

საქართველოში საგეგმო დ. ბ. ნატურალურ გამოსახულებაში პირველად შეიმუშავეს 1964-თვის საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტში. ამ კომიტეტთან არსებულ სახ. მეურნ. ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ჩატარდა მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო დ. ბ-ების სისტემის აგების ექსპერ. სამუშაოები (1963–80). ინ-ტში დამუშავდა აგრეთვე საგეგმო დ. ბ-ები 1970 და 1975 წლებისათვის. საქართვ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველომ შეადგინა საანგარიშგებო დ. ბ-ები 1966, 1972 და 1977 წლებისათვის. გარდა ამისა, შემდგომ საქართვ. სტატისტ. სახელმწ. დეპარტამენტმა შეიმუშავა რესურსებისა და მათი გამოყენების ცხრილები 1999, 2000 და 2001 წლებისათვის. ვ. მელქაძის სახ. სოც.-ეკონ. და რეგიონული პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტში

სისტემატურად სრულდებოდა საანგარიშგებო და საპროგნოზო გაანგარიშებები ღირებულებითი „დანახარჯი-გამოშვების" მოდელის საფუძველზე. ინ-ტში ღირებულებით დ. ბ-თან ერთად ჩატარებულია გაანგარიშებები ნატურალურ-ღირებულებითი დარგთაშორისი მოდელის საფუძველზე 1975, 1980, 1985 და 1990 წლებისათვის.

2003 დასრულდა 1998 წლის დ. ბ-ის საანგარიშგებო ნატურალურ-ღირებულებითი სტრუქტურული მოდელით გაანგარიშება. ამჟამად დ. ბ-ის პრობლემებზე მხოლოდ თეორიული კვლევა მიმდინარეობს, ხოლო პრაქტიკულად ბალანსები აღარ დგება. საქართველოში დ. ბ-ების შემუშავებისა და გამოყენების პრობლემების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ი. ანანიაშვილმა, კ. აჩელაშვილმა, ჯ. იოსავამ, მ. კეკელიძემ, თ. მთიულიშვილმა, ი. მესხიამ, ვ. პაპავამ, ს. სანაძემ, ნ. სულავამ და სხვებმა.

ლიტ.: ს უ ლ ა ვ ა ნ., საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის დარგთაშორისი ბალანსი, თბ., 1973; А г а н б е г я н А. Г., Г р а н б е р г А. Г., Экономико-математический анализ межотраслевого баланса СССР, М., 1968; Л е о н т ь е в В. В., Исследования структуры американской экономики, М., 1958; Э й д е л ь м а н М. Р., Межотраслевой баланс общественного продукта, М.., 1966.

თ. მთიულიშვილი